

საპარტეზალოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

1974 წ.
№ 7
(5037)
10 იანვარი,
ხუთშაბათი,
შპსი 3 აბა.

გაზეთი გადოდის
1984 წლის
18 აპრილიდან

სსრკის
საპროფკავშირო
და სპორტის
კომიტეტის
გაზეთი

დამთავრდა კომკავშირელე-ბის, ახალგაზრდებისა და პიონერ-მოსწავლეების საკავშირო გამოცდა ფიზიკურ და სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში. გამოცდის შედეგები ამ დღეებში შეაჯამეს პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, სსრ კავშირის დოსაფის ცენტრალურმა კომიტეტმა.

საკავშირო შედეგებს შიდა წიგნ მოლოდინის, ბელორუსიის, ალტაის მხარის, კურგანის ოლქის კომკავშირულმა, პროფკავშირულმა, ფიზკულტურულმა, დოსაფის ორგანიზაციებმა, რომლებიც დაჭიდდნენ საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდა-მავალი პრიზებით.

საკავშირო გამოცდამ ხელი შეუწყო ახალგაზრდებს შორის ფიზიკურ და სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას მშდ კომპლექსის საფუძველზე ახალგაზრდების ჩამოყალიბების გაძლიერებას, შრომითი აქტივობის ამაღლებას, საშობლოს დაცვისთვის მზადყოფნას.

მშდ ახალი კომპლექსის დანერგვისთვის პროფკავშირული, კომკავშირული, ფიზკულტურული და დოსაფის ორგანიზაციების ერთობლივმა მუშაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ნორმატივების ჩაბარებაში ჩაება 47 მილიონი ქაბუკი და ქალი-შვილი; მომზადდა 11 მილიონ-ზე მეტი ნიშნოსანი.


საკავშირო გამოცდის მსვლელობის დროს ბელორუსიაში ჩატარდა 400-ზე მეტი შეჯიბრება ომისა და შრომის გმირების სახელობის პრიზებზე; წარმატებით ჩატარდა სპარტაკიადა მშდ კომპლექსის მრავალ-ქილში. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს მინსკის სპარტაკიად და გომელის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების ახალგაზრდობის მოწოდებას: „ფიზკულტურა და სპორტი — ხუთწლედის სამსახურში“

კურგანის ოლქში კომკავშირის კომიტეტებმა და სხვა ორგანიზაციებმა ფართოდ გამოიყენეს მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები, დიდი ყურადღება დაუთმეს სპორტული ბაზის განმტკიცებას.

ამასთან, შედეგების შეჯამებისას აღინიშნა ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურულ მუშაობაში, პირველ ყოვლისა, სისტემატური მეცადინეობის ორგანიზაციაში ჩერ კიდევ არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი.

საკავშირო გამოცდის ლოგიკური გაგრძელებაა შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალქილში გაზეთ „პროსპერის“ პრიზებზე. ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა-შვიტის III და ზაფხულის VI სპარტაკიადების ერთ-ერთი მემადგენელი ნაწილია.

რ. ნაშვილი
საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი.



გადამწყვეტი შეხვედრების წინ


თბილისი. ჰადრაკის სახახლე. 8 იანვარი. გადაღებული პარტიების დამთავრება.

ტ. ზატულოვსკია (მოსკოვი) — ი. მატვეევა (ალმა-ათა) 1:0, ლ. სემიონოვა (კიევი) — ე. სტრელნიკოვა (კუიბაშევი) 1:0, ო. პედკო (სოჭი) — ტ. ფომინა (ტალინი) 0:1, ე. მოროზოვა — მ. შული (ორივე — ლევი) 0:1, ა. გრინფელდი (კალინინგრადი) — ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი) 0:1, ფომინა — გრინფელდი 1:0, კ. ზეორიანა (მინსკი) — სემიონოვა 1:0, ზატულოვსკია — ა. კისლოვა (ომსკი) 0,5:0,5, ვ. ბორისენკო (ტაშკენტი) — ვ. სტერინა (მოსკოვი) 0:1, შული — მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) 1:0, ჩიბურდანიძე — ბორისენკო 0,5:0,5.

16 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: შული — 12 ქული, ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), მედიანიკოვა — 11,5-11,5, ვ. კოვლოვსკია (პატიგორსკი) — 10,5, ლ. ლიუბარსკია (დონის როსტოვი) — 9, ზეორიანა, კისლოვა, ფომინა — 8,5-8,5, ნ. ალიოზინა (ვორონეჟი), მოროზოვა, გრინფელდი — 8-8, ლ. მულენკო (ზაპოროჟიე), ჩიბურდანიძე — 7-7,5, პედკო — 7, სტერინა — 6,5, სემიონოვა — 6, ზატულოვსკია — 5,5, ბორისენკო, მატვეევა — 5-5.

შულს შეუპოვარი წინაღობა მხოლოდ ჩიბურდანიძემ გაუწია (მოროზოვა თამაშის განუასლებლად დაწება). თითქმის ოცი სვლის მანძილზე იგერიებდა იგი გამსვლელ პაიკებს, მაგრამ სსრ კავშირის ჩემპიონმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა. მიაი 64-ე სვლაზე დაწება.

ზატულოვსკიამ მატვეევასთან შეხვედრაში მეორე გამარჯვება იხეიმა. ამ ტურნირში პირველი ტურის შემდეგ მას პარტია არ მოუგია. კისლოვასთან ზატულოვსკიამ უფლებულ მეტქის



შედგენი პაიკი და ამ პარტიაში შექმნილი ნახევარი ქულის წყალობით ბოლო ადგილი სხვებს გადაულოცა.

სემიონოვას ზეორიანასთან შეხვედრაში სარისხი ქონდა და მისი გამარჯვება არავის ეეჭვებოდა. სემიონოვამ უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა, მაგრამ პარტია... წააგო. ზეორიანამ საუცხოოდ გამოიყენა ახალგაზრდა ოსტატის ზერედე თამაში, ინიციატივას თავად დაუფლდა და მეტქის შედეგით სარისხი ანარაობად აქცია.

ენდშილში სტერინას ორი კუ უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ბორისენკოს კუ და მხედარი. მოსკოველი ოსტატი ცენტრალურ პაიკს მიეპარა და მისი მოგებით პარტიის ბედიც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ჩემპიონატში სამი ტური დარჩა სათამაშო. ოქროს მედალზე თვალი უჭირავთ შულს, გაფრინდაშვილს, მედიანიკოვას და კოვლოვსკიას. ყველაფერს დასვენით შეხედრები გადაწყვიტეს.

გადამწყვეტი შეხვედრებში შულს მეტქეები აირიან სტერინა, პედკო და გრინფელდი; გაფრინდაშვილისა — ჩიბურდანიძე, სტერინა, პედკო; მედიანიკოვასი — ფომინა, მულენკო, ბორისენკო; კოვლოვსკიასი — ზეორიანა, ზატულოვსკია, ლიუბარსკია. როგორც ხედავთ, შულსა და გაფრინდაშვილს უფრო იოლად გასამკლავებელი მეტქეები ჰყავთ. ცხადია, გადამწყვეტი შეხვედრები საინტერესო იქნება.

მ. გიორგაძე.

სვალ მისკოვსა და ალმა-ათაში...

11 იანვარს მოსკოვსა და ალმა-ათაში სტარტს აიღებს ფრენბურთელ ვაჟთა 36-ე საკავშირო ჩემპიონატი. სარბიელზე გამოევა 12 გუნდი. მოსკოვში იასპარეზებენ: „ავტომობილისტი“ (დენბროტე-როვსკი), ცსკა, „დინამო“ (მოსკოვი), ასკ (დონის როსტოვი), „ზევზდა“ (ვოროშილოვგრადი) და ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდი. ალმა-ათაში ითამაშებენ: ვ. ი. ლენინის სახელობის ოდესის ტექნოლოგიის ინსტიტუტი, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი), „დოროენიკი“ (ალმა-ათა), „დინამო“ (ლენინგრადი), „ლოკომოტივი“ (კიევი), „რადიოტექნიკი“ (რიკა).

შეჯიბრება გაიმართება 4 ტურად. უმაღლესი ლიგის ქალთა გუნდები საკავშირო ჩემპიონატში 15 იანვრიდან ჩიებებებიან.

საკავშირო ჩემპიონატების გარდა, საბჭოთა გუნდები გამოვლენ ევროპის ტურნირებშიც (როგორც ცნობილია, ამ რანგის შეჯიბრებებში თამაშობენ მოსკოვის „დინამოს“, ცსკა-ს ქალთა, ცსკა-ს, რიგის „რადიოტექნიკის“, ვოროშილოვგრადის „ზევზდას“ ვაჟთა კოლექტივები). იანვრის პირველ რიცხვებში ჩატარებულ ორი მატჩის ამბები ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. გააცნობთ მესამე შეხვედრის შედეგს: ევროპის ქვეყნების თამაშის მთლობელთა თასის გათამაშების მატჩში რიგის „რადიოტექნიკის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა სტუმრად მოუგო პრალის „რუდა გვეზას“ — 3:1.

საბჭოთა ფრენბურთელი ქალები და ვაჟები მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონატებში, რომლებიც წლეულს შექსიკაში გაიმართება.



სვარჯეა ზამთრის სვარჯეაქადა


სსრ კავშირის ხალხთა-შვიტის III სპარტაკიადის პროგრამით ჩელაინსკი გაიმართა მოცოგურავეთა ასპარეზობა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ჩელაინსკის, ზლატოუსტის, მიასის, მაგნიტოგორსკის, ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის ფილიალისა და „ბურვეესტნიკის“ სვარჯემა გუნდებმა. ორი დღის შემდეგ საერთო-გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს ჩელაინსკელმა სპორტსმენებმა.

სურათზე: გამარჯვებული გუნდის წარმომადგენელი, სპორტის ოსტატი ვ. სემიონოვი თასით ხელში.
ბ. კლიპინცერის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).



24 იანვარს არხანგელსკი იწყება საერთაშორისო ასპარეზობა ბურთიან პოკეიში ვაზეთ „სოვეტსკიაა როსიას“ პრიზზე. ხელმარჯვე ოსტატები უკვე ამზადებენ სამახსოვრო სუვენირებს ქალაქის მომავალი სტუმრებისა და სპორტსმენებისთვის.

სურათზე: პროფტექნიკური სკოლის მოსწავლეები ე. ბოვტი და ნ. ჩლენოვა გამარჯვებული გუნდისთვის განკუთვნილი სამახსოვრო თასით. ეს თასი ეროვნულ-მხატვრულ ნაკეთობათა საწარმოს — „ბელომორსკიე უზორის“ ოსტატებმა გააკეთეს.
ს. გუბსკოის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).



ლონდონი, 8 იანვარი. ახალ ზელანდიაში, ბრიტანულ თამაშებზე გამგზავრების წინ აქ, „კრისტალ-პელისის“ სტადიონზე გაიმართულ ინტერნაციონალურ მატჩში სკოტლანდიის კლუბმა 20,50 მ. აჩვენა. ამ საჩიბაში ასეთი მაღალი შედეგი დღემდე არც ერთ ბრიტანელს არ მოუპოვებია. ბაროს ტყორცებში პირველი იყო ბ. ტანკრედი — 59,44 მ. სიმაღლეზე მტრთმელმა ქალმა ბ. ინკენმა 188 სმ გადალახა.

მინი, 8 იანვარი. გფრ-ის ძალოსანთა ასპარეზობაში შემძიმე წონის ათლეტი რ. მანია შეეცადა დაეყარებინა ახალი მსოფლიო მიღწევა ატაკში (როგორც ცნობილია, ამ ვარჯიშიში მსოფლიო რეკორდი მას ამას წინათ საბჭოთა ძალოსანმა ლ. ჭაბოტინსკიმ „წაართვა“). მართალია, მანამა ეს ამოცანა ვერ შეასრულა, მაგრამ გფრ-ის რეკორდი მანც დაამარა — 231,5 კგ.



გაიხსნა კაფე „მორკინალი“

5 იანვარს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ცხოვრებაში ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა: გაიხსნა სპორტსმენი ახალგაზრდობის კაფე, რომელსაც „მორკინალი“ უწოდეს. კაფეში პერიოდულად გაიმართება კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები შრომისა და სპორტის მოწინავეებთან, ერთდროული საპარაკაო სემინარები, დახვედრების საღამოები.

თავისი პირველი ღონისძიება კაფე „მორკინალი“ ინსტიტუტის დეკანის ინიციატივით შეხვედრას მიუძღვნა. კაფეს გახსნის დღეს მოწვეული იყვნენ: ტანჯარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი სერგო კობაია, რომელსაც დაბადების 70 და მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა, დამირი იოსელიანი — წარსულში ცნობილი მწიგნობარი, სოფლის ექსპერტის მთავარი და გულადი ბარტისანი, სერგო შუღრა — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ყოფილი მწკარი, ამჟამად ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, კოტე ასტაშვილი — სახელგანთქმული მოთხროველი და კავკასიის დაცვის მონაწილე, სპორტის ოსტატი, შოთა ჭანტურია — ანატომიის კათედრის დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.


მოწვეულ ამხანაგებს მიესალმნენ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ე. მელია, პრორექტორი რ. კერესელიძე, თბილისის პუშკინის სახელობის და უცხო ენების ზედაგარეობის ინსტიტუტის რექტორები ნ. ვასაძე და ი. შენგელია, ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორი ლ. ჩხაიძე, დოცენტი გ. ციბაძე, ფრიადოსანი სტუდენტი მ. მოსულიშვილი და სხვ.

„მორკინალის“ გახსნის ერთობლივად, ინსტიტუტის ახალგაზრდა მუშაკები და სტუდენტები ნ. ვამყარელიძე, თ. მეშველიანი, მ. ზაალიშვილი, ც. ლაბაური, გ. მღებრიშვილი, ლ. რთველიანიშვილი, გ. იაკოველი და სხვები ფიქრობენ, რომ კაფე სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდისა და კულტურული დასვენების საუკეთესო კერად იქცევა.

ბ. ზაზაძე.

სურათზე: რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე ინსტიტუტის კოლექტივს ულოცავს კაფე „მორკინალი“ გახსნას.

თ. ბურჯანაძის ფოტო.



ახმაურაგინი წერილს: „რა აფერხებს მუშაობას?“

საბოლოო სპორტსმენი სპორტის ახალგაზრდა დიდი ხანია საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ამაში დამსახურება მიუძღვით არა მარტო მოსკოვის, ლენინგრადისა და მოსკოვის რესპუბლიკების დედაქალაქების სპორტსმენებს, არამედ სხვა ქალაქებისა და სოფლების ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლებსაც. იზრდება ქვეყნის მატერიალური ძლიერება, მადლდება საბჭოთა ხალხის კულტურული ღონე, ხოლო შესაბამისად, მასობრიობის საფუძველზე, ვითარდება ფიზიკური კულტურა და სპორტიც.

სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ყველა საბჭოთა ოჯახში და ფართო მასების მუდმივი მოთხოვნის სახით იქცა. ქალაქისა და სოფლის სოციალისტური განვითარების კანონზომიერება გვიჩვენებს, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაიშვას მოსახლეობაში მასობრივი-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობა.

მწიგნობარი და გაგვიტყოს „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა წერილებმა — „რა აფერხებს მუშაობას?“ და „საერთო სატვივარი“, მწიგნობარი არ დაეთანხმო მას ავტორებს. თუ ღრმად ჩაეფიქრებოთ ხელის შემშლელ ფაქტორებს, სურათი კიდევ უფრო მუქ ფერებში წარმოგვიდგება. მაგალითად, დიდ სამამულო ომამდე ქუთაისში 50-მდე საწარმო-დაწვევების ფიზკულტურის კოლექტივი იყო. დღეს მათმა რიცხვმა 214-ს მიაღწია. იმდენი კითხვა: ფიზიკურად შეესაბამება თუ არა ქალაქის სპორტკომიტეტის ოთხკაციანმა აპარატმა წელსწინა ერთხელ მაინც მორეკონსტრუქციის შედეგად თითოეული კოლექტივის მუშაობა და საქმიანობის გასაუმჯობესებლად დასახლის სპორტის ღონისძიებანი? ნაჩქარევ და ზედამართულ შემოწმებას კი, სხვა ხარვეზებთან ერთად, მოსდევს მოწინავე მუშაკთა გულის ატრიალება, პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტება და მუშაობაში ფორმალის მიმართ ფიზკულტურული აქტივის გამოყენება, როგორც პრაქტიკულ ცხადია, მუდამ ნაკლებად ეფექტური.

უადგილო არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის აპარატი 5 კაცისგან შედგებოდა. მასშტაბი, ამ 37 წლის მანძილზე ხელმძღვანელო აპარატი არ გაზარდლა. აღარას ეამობთ რუსთაის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ო. ჯგამბელის წერილში მოყვანილ ფაქტებს, რომ კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი აპარატის მუშაკების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე საწარმოს ინსტიტუტისა. ჩვენი აზრით, გადაწყვეტილება მიანიჭა აპარატის სამართავი ერთეულების რაოდენობა ასრულდეს. პარადოქსულად ვერს, რომ, მაგალითად, 1936 წელს ქუთაისის მუშაკებთან რაოდენობა 65 ათასს არ აღემატებოდა და სპორტკომიტეტის აპარატი 5 კაცი მუშაობდა, დღეს მოსახლეობის რიცხვი სამჯერ მეტია.

მომხმე მდგომარეობაში არიან ჩვენი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საქალაქო საბჭოებიც. საქართველოს ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების მიერ მათთვის გამოყოფილი თანხა ისე მცირეა, რომ წლის მანძილზე მხოლოდ 8-10 ჯგუფს თუ ეყოფა. რა მოუხერხონ სპორტის დასარჩენ 28-30 სახეობას? აი, აქ იწყება „გამომკონებლობა“ და შექმნილი ვითარებები გამოვსვლის მიხედვით, გზა ერთია — „სეზონურ“ მუშაობაზე გადასვლა. რომელიმე დიდი ღონისძიების წინ ერთ-ერთი თვით ადრე ნაკლებ გუნდს ენიშნება ხელფასზე მომუშავე მწვრთნელი, მაგრამ როგორც კი შევირბება დამთავრდება, აქვე მუშაობას წყვეტს. ასეთი პერიოდულობა და „სეზონურობა“ მთლიან თანრიგების სპორტსმენთა აღზრდას ძალიან აფერხებს.

სავსებით გიზარებთ გავითის ფურცლებზე გამოვლულა მოსახლეობას, რომ საკმარისი უფრო მეტი დახმარება ფიზკულტურის კოლექტივებისადმი, ტალახების გამოსავლენად სხვადასხვა სახისა და მასშტაბის შევირბებების ჩატარება, ფიზკულტურის კომიტეტებში სპორტის ყველა სახეობაში მწვრთნელთა შეტყობის დაარსება, მწვრთნელების სავანაკვეთო სისტემაზე გადაყვანა და სხვ. უდავოდ კარგი იქნება რესპუბლიკის სპორტკომიტეტში სპორტული სამმართველოს და საეგემო-სადინასო განყოფილებების წარმომადგენელთა კომისიების შექმნა. ეს განყოფილებები უფრო ახლოს იქნებიან ჩვენთან, უფრო კარგად გაიგებენ ჩვენს პირ-ვარაზს, მოთხოვნებს. აქ მე მხედველობაში მაქვს სპორტული ნაგებობების მშენებლობის დაფინანსება.

ფ. ახვლედიანი, ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ტვირთად აწევს კომიტეტის წოდებულ ბიუჯეტს, რომელიც ნორმალურ პირობებშიც კი რეალურ მოთხოვნებს 40 პროცენტითაც ვერ აკმაყოფილებს.

საყურადღებოა კიდევ ერთი დეტალი. ქუთაისელი სპორტსმენები წმირად მონაწილეობენ საკავშირო საერთაშორისო ასპარეზობებში. რესპუბლიკისა და ჩვენი ქალაქის სპორტკომიტეტების ისინი საქართველოს ნაკრები გუნდების ერთ-ერთ ძირითად მკვებ წარად მიიანიათ. მაგრამ, თუ მარტო ძველ დასახურებას არ დავკრძობთ და ახალი მიღწევებისთვისაც ვიზრუნებთ, ქუთაისში თანამედროვე ტიპის სპორტული ბაზების შექმნა და ახალი მიღწევებისთვისაც ვიზრუნებთ, ქუთაისელი სპორტსმენები სპორტსმენები მოკლებული არიან საფუძვლიანი ვარჯიშის საშუალებას, ვინაიდან თანამედროვე სპეციალიზებული, სრულყოფილი ბაზა, თუ „განთავის“ საცურაო აუზს არ ჩაეთვლით, ქალაქს თითქმის არ გააჩნია.

საყურადღებოა კიდევ ერთი დეტალი. ქუთაისელი სპორტსმენები წმირად მონაწილეობენ საკავშირო საერთაშორისო ასპარეზობებში. რესპუბლიკისა და ჩვენი ქალაქის სპორტკომიტეტების ისინი საქართველოს ნაკრები გუნდების ერთ-ერთ ძირითად მკვებ წარად მიიანიათ. მაგრამ, თუ მარტო ძველ დასახურებას არ დავკრძობთ და ახალი მიღწევებისთვისაც ვიზრუნებთ, ქუთაისელი სპორტსმენები სპორტსმენები მოკლებული არიან საფუძვლიანი ვარჯიშის საშუალებას, ვინაიდან თანამედროვე სპეციალიზებული, სრულყოფილი ბაზა, თუ „განთავის“ საცურაო აუზს არ ჩაეთვლით, ქალაქს თითქმის არ გააჩნია.

ფ. ახვლედიანი, ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

გამარჯვება საკუთარ თავთან

უკრაინა — საქართველოს მატჩში იყო ყველაფერი, რაც ნებისმიერ ასპარეზობას დაამყენებდა, აქ იყო ახალგაზრდული ემოციები, მიზანსწრაფვა, მოსწავლეთა ასაკისთვის ერთობ უჩვეულო „ეშმაკური“ ჩინაფქრი, გამარჯვებისკენ ქეშმარიტად დაუოკებელი ლტოლვა. საქართველოს ფრენბურთელი ქაბუკებისთვის ამ შეხვედრაში წყდებოდა ყოფნა-არყოფნის საკითხი (რა თქმა უნდა, ფინალში მოწაწილობის თვალსაზრისით). მატჩმა ნორჩი სპორტსმენებისგან მოითხოვა უდავლოდ დამაბულობა და ვნებთა დღევა. ეს განსაკუთრებით საცნაური ვახდა გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში. რა მდგომარეობაში იყვნენ გუნდები „ფინალური“ პარტიის წინ თბილისელებმა მოიგეს პირველი ორი ხელი (16:8, 15:7), უკრაინელებმა გაიმარჯვეს მომდევნო პარტიაში (15:10, 15:7) და ანგარიშის გათანაბრება შეძლეს. ახლა თავად განსაჯეთ, რომელ გუნდს ჰქონდა ფსიქოლოგიური უპირატესობა ფინისის სეზონურ სუბიექტურ აზრთა: ორივე გუნდს ერთ ტაფაში იწყოდა. თუ გაზომილბული თბილისელები ცდილობდნენ, რადაც უნდა დასტავებოდათ „ხელმწიორედ“ მოეგოთ მატჩი, უკრაინელები მართულად ფიქრობდნენ, რომ მრისხანა მეტოქეს საბოლოოდ წაართვეს უპირატესობა და გამარჯვება მათთვის უფრო უპირაი იყო. ვიდრე გადამწყვეტ პარტიაზე ვინაშაყვებდეთ, სადაც თეშიდა სასწორს რიგრიგობით ხრიდა ხნ ერთი, ხანაც მეორე მეტოქისკენ, ორივე სიტყვით გადმოცემით დილოვს თბილისელ მწვრთნელს. სტეპანანათან.

— შეიძლება უკვე მოგელოცოთ გამარჯვება (ჩვენი ბიჭები ამ დროს დამაქრებლად იგებდნენ მატჩს — 3:0).

— უმჯობესია ბრძოლის დამთავრება დაველოდოთ. ფრენბურთში ზოგჯერ ისეთი რამ ხდება... „ისეთი“ რამ, სამწუხაროდ, მართლაც მოხდა. არა, თბილისელებს არ განულებიათ ბრძოლის ეინი, ისინი მომდევნო პარტიაშიც საულსა და გულს დებდნენ თამაშში, მაგრამ ალბათ „ჩვეულებრივი“ თვალისთვის უხელავად უკრაინელებმა „მოუმატეს ტემპს“, მათი იერიშები უფრო მწყობრი და გააზრებული შეიქნა. და მაინც, ეს იყო თანაბარძალოვანი გუნდების ჰიდოლი, სადაც ორივე მეტოქე ახლოს იყო გამარჯვებასთან. მეხუთე პარტიაში დაიწყო „ბუნების ხილწე“ სიარული. აქ გადამწყვეტ სიტყვა უნდა ეთქვა ნორჩი სპორტსმენების ფსიქოლოგიურ მომზადებას. და აი, შესაძლებლობა მოგვეცა მატჩის კულმინაციურ მომენტში შეგვემოწმებინა მოთამაშეთა არა მარტო ტექნიკურ-ტაქტიკური ღონე, არამედ, რაც მთავარია „უსწვერულავაშო“ სპორტსმენებისთვის, გადამწყვეტ წუთებში ბრძოლაში გა

რატების შეტანისა და გამარჯვების უნარი. წინასწარ უნდა გითხრათ, რომ ჩვენმა ბიჭებმა ეს გამოცდა (ყოველ შეხვედრაში, ქვეყნულ თვითნებ ყველაზე სახიფათო კონკურენტთან) ჩინებულად ჩააბარეს. წინ უკრაინელები იყვნენ — 18:11. დადაც სწორედ ის წუთები, როცა ერთ მძლავრ ვაზროლოვანს წერტილი უნდა დაესვა პრინციპული შეხვედრისთვის. თითქმის ათი წუთი დასკირდათ ჩვენს ბიჭებს, რომ „გაიხსნა“ ანგარიშისთვის ძვრა ეყოთ, ანუ მატჩის ჩარხი წაშლა შემოებრუნებინათ. დაუდალავად იბრძოდნენ ამ წუთებში ბადესთან საქართველოს გუნდის ლიდერები — მალაი, მლინერი დარტკემების ოსტატი, ვაიტანი მირიან კალანაძე, გამკრიანბ, ვერცხლისწყალითი მოუხეხანარი გამოთამაშებული ნიკოლოზ პავლოვი, ახოვანი, შეუპოვარი თვდამსხმელი ვლადიმერ ხარაზიშვილი და მათი მეგობრები. როცა ანგარიში 18:18 ვახდა, მყურებელს ექვი აღარ ემარტოდა ჩვენი გუნდის წარმადებაში, იმდენად დიდი აღმოჩნდა ინერციის ძალა. ახე რომ, ჩვენს ნორჩ სპორტსმენებს თანამედ შეგვიძლია ეთვლოდეთ ორმაგი გამარჯვება: ერთი წმინდა სპორტული თვალსაზრისით, მეორე... საკუთარ თავთან, ანუ ნერვოვლად.

ტაქტიკისა და სპორტული გოგონათა შეხვედრაში სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო. მართალია, ამ მატჩამდე ორივე გუნდი დაუპირატებლად მოვიდა, მაგრამ წინა შეხვედრებში ტაქტიკური სპორტსმენები უფრო იოლად უგებდნენ მეტოქეებს, ვიდრე ჩვენები. ამიტომ ექვი არავის ეპარებოდა, რომ ამ შეხვედრაში სტუმრები დაჯამნიდნენ მასპინძლებს. მაგრამ პირველი პარტიის შემდეგ ამას ვეღარც სანეალოსტები იტყოდნენ, ვეღარც მყურებლები. ჩვენებმა ისე მედვილად შეუტყობ, რომ არავითარი გმრად არ დაუტოვეს მეტოქეს. მართლაც, პირველ პარტიაში მათ ყველაფერი კარგად გამოხდოდათ: შეტევა, დაცვა, კომბინაციებიც. მომდევნო პარტიაშიც საქართველოს წარმომადგენლებს ვეღარც ეინობოდათ, ეს იყო უეცარი მეტამორფოზა. გაქრა ყოველგვარი კომბინაციები, ეღვარე შეტევები, მატჩმა მხოლოდ სურვილი გამარჯვებისა. მაგრამ გამარჯვებას საკუთარ თავთან იძლევა. მას დაულოკავი და გააზრებული ბრძოლა სჭირდება. სამაგიეროდ, ტაქტიკის ფრენბურთელებმა, მიუხედავად პირველი პარტიის წაგებისა, დიდ ნებისყოფა გამოიჩინეს და, რაც მთავარია, მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა. ისინი უფრო მსუბუქად, აზრიანად მოქმედებდნენ მოედანზე, მატჩი თავის ახლა სასარგებლოდ დაამთავრეს და ახლა ერთპიროვნული ლიდერები არიან.

ასპარეზობა გრძელდება.

ბ. გოგელია.

ა. ბ. ალუაიძე



მოულოდნელად გარდაიცვალა სპორტის ვეტერანი, სკკპ წევრი 1958 წლიდან ავთანდილ ბიჭიტაძის ძე ალუაიძე.


ა. ალუაიძე დაიბადა 1922 წელს ქუთაისში. 1941 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ნიჭიერი კაპუტი აღრეული წლებიდანვე ეზიარა ულამაზეს სახეობას — სპორტულ ტანვარჯისს. ყველას ნიბლავდა მისი გამოსვლები რგოლებზე, ორძველზე, დერაზე. 1939 წელს 17 წლის ტანვარჯისზე სსრ კავშირის სპორტის ოსტატი გახდა. ქუთაისელ სპორტსმენთა შორის მან პირველმა მოიპოვა ეს საპატიო წოდება.

ა. ალუაიძეს არაერთხელ დაუცავს ჩვენი ქალაქისა და რესპუბლიკის სპორტული ღირსება საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. იგი იყო საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონი რგოლებსა და დერაზე ვარჯისში, სოლო 1950-52 წლებში — სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ახლოლუტური ჩემპიონი. ქუთაისელი სპორტსმენი დიდი წარმატებით გამოვიდა 1948 წელს პრაღასა და ვარშავაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ა. ალუაიძე წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი მუშაობდა მწვრთნელად ბავშვთა სპორტულ სკოლაში და სპორტსაზოგადოება „დინამოში“, მასწავლებლად — ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრაზე. ამას გარდა, ა. ალუაიძე სხვადასხვა დროს იყო ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორ-მეთოდისტი, სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, ბოლოს იგი ტანვარჯისულ სკოლაში მუშაობდა მეთოდისტად. კარგი სპორტსმენი, ახალგაზრდა თაობის დიდი მოამბე და გულისხმირი ადამიანი — ასეთი ემახვრებოთ ა. ალუაიძე მის ახლობლებს, შეგობრებსა და მოწაფეებს.

კუთაისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საპალაქო კომიტეტის ტანვარჯისის საპალაქო ფედერაციის პრეზიდენტი.

რედაქტორის მოადგილე
გ. ჯავახიძე.



მადარბი. ჯღარაკის სასახლე (ლენინის ქ. 37). სსრ კავშირის ქალთა XXIII ჩემპიონატის ფინალი. 10—14 იანვარი. დღეს XVII ტური, 11-ში — XVIII, 12-ში — გადადებული პარტიების დამთავრება, 13-ში — XIX ტური. დასაწყისი 16 ს. 14 იანვარს დღითი გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს — ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

ფურისა და ფოსტარის შეხვედრა — მისამდე?


1978 წლის ნოემბერში იოპანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) განმეორებულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონი ქვეპიმიე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, ამერიკელი ჯანგი ბობ ფოსტერი და სამხრეთაფრიკელი პიერ ფური. პირველი მატჩი, რომელიც 1972 წელს მოწვეულ ფოსტერის შპობლიურ ქალაქ ალბუერკეში, ამერიკელმა ქულებით მოიგო 15 რაუნდში. ამჟამად მსოფლიო ჩემპიონმა კვლავ დაცვა თავისი ტიტული, თუმცა გამარჯვება იოლად არ მოუპოვებია.

ფვიკრობო, მკითხველებისთვის საინტერესო იქნება ამ უჩვეულო მატჩის ზოგიერთი დეტალი, რამდენადაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც რასისტული რეჟიმი გაიმყვებულა, ერთმანეთს პირველად შეხვდნენ ჯანგი და თეთრკანიანი სპორტსმენები.

ამჟამად ძალიან გამიჭირდა. შევარდ უფრო მეტად, ვიდრე მარშან ზაფხულში მიჭირდა ალბუერკეში. ჩემთვის ეს ალბათ ყველაზე მძიმე ბრძოლა იყო 1968 წლის შემდეგ, როცა მსოფლიო ჩემპიონი გახდით. პიერ ფური ძალიან ძლიერი მოკრივეა და მე მზად ვარ კვლავ შევხვედეთ მას, ოდნოდ არა უკეთ, მოუმზადებლად. მაგრამ, სანამ შესაძლებელი იქნება შეხვედრა, ვალდებული ვარ ჩემი სხვა კონტრაქტები შევასრულო“, — ამბობდა ბობ ფოსტერი იოპანესბურგის „რენდ სტედიუმში“ გამართულ მატჩის შემდეგ. ამ მატჩს დაესწრო 40 ათასი მაყურებელი. ტანმაღალმა ბობ ფოსტერმა ქვეპიმიე წონაში მსოფლიო ჩემპიონის

სახელი შეინარჩუნა 15 შეუპოვარი, მძიმე, დრამატული რაუნდის შემდეგ. მსაჯებმა ერთსულოვნად მიაკუთვნეს უპირატესობა ფოსტერს. ქულათა ანგარიში ასეთი იყო: არბიტრი რ. დეიანი (ინგლისი) — 103:99, მსაჯი ტ. კელპერი (აშშ) — 103:95, მსაჯი ს. ბიკი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 101:98.

„რენდ სტედიუმში“ მოსული 40 ათასი კაციდან 30 ათასი თეთრი იყო, დანარჩენი — ფერადკანიანი. ისინი ერთად პირველად ესწრებოდნენ შეჯიბრებას. მატჩზე ჩამოვიდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტის მინისტრი პიტ კონროფი და მთელს მსოფლიოში ყველაზე რასისტული სა-



ლენინბრძალში დამთავრდა ახალგაზრდა ჰოკეისტა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ფინეთის, კანადის, შვედის, აშშ-სა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები კოლექტივები. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გუნდებმა სწორედ ასეთი თანამედროობით განაწილეს ადგილები. უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ახალგაზრდა ჰოკეისტებმა ბრწინავლად ჩაატარეს ტურნირი: ხუთივე მატჩი მოიგეს, ყველაზე მეტი შაბა (30) გაიტანეს, ყველაზე ნაკლები (12) მიიღეს, ქულათა მაქსიმუმი (10) დააგროვეს და რაც მთავარია, საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს.

შეჯიბრებამ, რომელსაც „საიდლო“ და „ნოლოვან“ მსოფლიო ჩემპიონატსაც უწოდებენ, მაყურებელთა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი იმანაც განაპირობა, რომ დიდი შესვენების შემდეგ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა მიიღეს აშშ-სა და კანადის ჰოკეისტებმა.

სურათზე (ზევიდან ქვევით): „ჰოკეი კანადურად“. ერთმანეთს ხვდებიან აშშ-სა და კანადის გუნდები. აშშ ს ნაკრების კართან; საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი ი. მოროზოვი მითითებას აძლევს თავის ალბურდლებს უჩინლურ ვახვლის წინ; სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრის მომენტი; თამაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კართან.

გ. გალაკტიონოვის ფოტო.

ხელმოწიფოს მთავრობისა და პარლამენტის კიდევ რვა წევრი. თუკანის დონიდან 1800 მეტრ სიმაღლეზე მდებარე იოპანესბურგში, ისევე როგორც მთელს ამ რესპუბლიკაში, პირველად ხდებოდა ასეთი მოვლენა. პროფესიონალი მოკრივე, თეთრკანიანი პიერ ფური ხვდებოდა „შავ“ ბობ ფოსტერს. სასტიკმა აპარტიდმა, რომელიც თითქმის მთელი საუკუნეა გრძელდება, პირველად მისალა ფერადკანიანებთან გაველული სახვდარი — ერთი დამით. თეთრკანიან მაყურებელთა შორის პირველად გამოჩნდა სხვა ფერის ხალხი. გასაგებია, რომ პირველი პიერ ფურის უტყრდნენ მხარს, ხოლო მეორენი „თავიანი“ ჩემპიონის, ბობ ფოსტერის გულშემატკივრები იყვნენ.

ბობ ფოსტერს, ალბუერკის ვიცე-მერიც, იოპანესბურგში ჩამოყვანილი იყო, ფრენკ კარბოს „ბანდის“ ერთ-ერთი წევრი — შეწვევილი ლუ ვისკუზი, რომელიც წარსულში მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის ჯო ბრაუნს სელმძღვანელობდა. ისევე თვითმართანავით ნიუ მესიკოდან ჩამოფრინდნენ მწვრთნელები ილი ფუტჩი და დიკ ელდრესი, სპარინგ-პარტნიორი ლეოუა კელდრესი და გულშემატკივართა მთელი რაზმი. ერთი სიტყვით, ეს იყო თეთრებისა და ზანგების მრავალფეროვანი ჯგუფი, რომელსაც საგონებელში ჩავსდით ამჯერ სანახაობებსა და შერეულ კომპანიებს უჩვეული სამხრეთაფრიკელები. ბობ ფოსტერისთვის იოპანესბურგის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში დაჯავშნეს მთელი საბუთი, რომელიც საერთოდ მხოლოდ თეთრებისთვისაა გამოყოფილი. რათა აპარტიდის არსებული კანონები არ დარღვეულიყო, მიიღეს ოფიციალური გადაწყვეტილება, რომ შავკანიან მსოფლიო ჩემპიონს „საპატიო თეთრკანიანობა“ შეეფარებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფოსტერმა მონაწილეობა მიიღო ერთ-ერთი ადგილობრივი ტობის — ზულუსების დღესასწაულში. მსოფლიო ჩემპიონმა ამერიკელი სამოსი განიძარცვა და ზულუსელი მეომრის ერთგულ კოსტიუმში გამოეყვით. ხელთ ფარი და შუბი ეკურა, თავს ბგლადის გვირგვინი უმკობდა. მაღალი, ჩანსხული, თითქოს ერთიანად ფოლადის კუნთებად ქსეული, ულვაშებდაცარებელი ბობ ფოსტერი ნამდვილი ზულუსელი მეომარი იყო, ერთი იმ მეომართაგანი, მრავალი წლის მანძილზე უშედეგოდ, მაგრამ უსაზღვრო სიმამაცით რომ იბრძოდნენ ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, თვით-ზარბაზნებით შეიარაღებული თეთრების წინააღმდეგ, რომლებიც სისასტიკითა და მლიქვნელთა მით ერთნაირი ძალით მოქმედებდნენ.

სამხრეთ აფრიკის ფერადკანიანი მოსახლეობისთვის ბობ ფოსტერი იყო „შავი შურისმაძიებელი“, რომელიც იმ მიზნით ჩამოვიდა ამ ქვეყანაში, რომ მტრისთვის სამავიერო მიწულა ამდენი უსამართლობისა და ხალხის ჩავე-

რისთვის. იოპანესბურგის მატჩი ქვემართად ისტორიული სხვადასხვა ასპექტით, პირველ ყოვლისა — აღამიანური და რასობრივი თვალსაზრისით. ბობ ფოსტერს ამ მატჩისთვის თრგანიზატორმა, პიერ ფურის შეწვევმა, „მამლის“ წონაში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონის ვიცე ტოუელის და ნიჭიერი მსუბუქწონისნი ვილი ტოუელის ძიმბალენ ტოუელმა 200 ათასი დოლარი მისცა. პრეტენდენტს 30 ათასი დოლარი უნდა მიეღო. მატჩის წინ ბუკეტები ფაფორიტად ამერიკელს ასახველებდნენ. შეფარდება ასეთი იყო: სამი ერთზე.

ჩემპიონმა შორიდან დაუწყო სინჯვა მეტოქეს თავისი გამანადგურებელი მარცხენით. ფური დისტანციის შემოკლებას ცდილობდა. მეოთხე და მომდევნო რაუნდებში მან რამდენიმე ბრწყინვალე კრიუკი ჩაატარა როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელით. ერთხელ ნიკაპოც კი მორატყა ფოსტერს. ამერიკელი დაბნა როგორც მეტოქის თავებობაზე, ისე მისმა ძლიერმა დარტყმებმა. მაგრამ მან მალე დაიმორჩილა თავი და კონტრიბიუტე გადავიდა — ყუშბარისებური დარტყმების სერიები ჩაატარა მარცხენა ხელით და მარჯვნიდანაც, მაგრამ თეთრკანიანი კლდეავით იდგა, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. მეოთხეზე რაუნდში ფურიმ მარცხენა წარბი გაუტეოქა ჩემპიონს, მაგრამ მეთორმეტე ბობმა ისე გაატყა, ფურის სისხლი შადრვანინით მოსწვევდა ცხვირიდან. სასტიკი ორთაბრძოლის ბოლო წუთები ძალიან მძიმე იყო სამხრეთაფრიკელი ხოკრისთვის, რომელსაც თითქმის მთელი ძალი შევლია: ამ მატჩს. ფური გაქცურდა უძლებდა წამებას — ფოსტერის ელვისებურ დარტყმებს მარჯვნიდან თუ მარცხნიდან. ფოსტერი სამიწელ ტემპს ოდნავადაც არ ანელებდა.

თეთრკანიანი მაყურებლები ალბათ ორმად შეურაცხყოფილი დარჩებოდნენ, მაგრამ პიერ ფურიმ გაძლო ბოლო გონგამე. აქ დიდი ბობი გადახვება მას, ბავშვითი აიტაცა ხელში, მთელი რივი შემოატარა და მაყურებლებს აგრძობინა: ეგ ტაში ესოდენ ღირსეულად დამარცხებულ ჩემს მეტოქესაც ვეუთნისო. „რენდ სტედიუმში“ შეკრებილი 40 ათასი მაყურებლისთვის ეს დაუჯერებელი, წარმოუდგენელი სახასიათო იყო.

ჯაუხავა სინიორი.
„ბაეზე ხერა“, 1973 წლის დეკემბერი.
იტალიურიდან თარგმნა
მ. ბარბაქაძე.

რვა დღით აღრე

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე ყველა ნაკრებმა თამაშების დაწყებამდე რვა დღით აღრე უნდა გადასცეს თავისი გუნდის საბოლოო შემადგენლობა — 22 ფეხბურთელის გვარი, ვისაც გერ არს. თუ ამის შემდეგ შემადგენლობაში რაიმე ცვლილების შეტანა ვახდება საჭირო, გუნდებმა სპეციალური ნებართვა უნდა აიღონ.

სტეპანოვიჩი „ცრვენა ზვეზდაში“ გადავიდა

გაგონილი იუგოსლავიელი ფეხბურთელი, ამ ქვეყნის ნაკრების კაპიტანი სტეპანოვიჩი ამიერიდან „ოტკ ბელგარაში“ აღარ ითამაშებს. მას ამ გუნდთან კონტრაქტი ქონდა 1975 წლამდე, მაგრამ ხელშეკრულების დარღვევა არჩია და ბელგარის „ცრვენა ზვეზდაში“ გადავიდა.

სტეპანოვიჩი ახალ გუნდში გამოვა მარტიდან, როცა „ცრვენა ზვეზდა“ მონაწილეობის მიიღებს თურქეთის ქვეყნების ჩემპიონთა თვისა გათამაშების მეოთხედფინალში.

გილეთავი იყიდა

მსოფლიო პირველობის საოპორანიკო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ფინალის 38 მატჩიდან სამე ბილეთები უკვე მითიანად გაიყიდა: ესაა ფინალური მატჩი 7 ივლისს მიუნჰენში, შეხვედრა III-IV ადგილებისთვის 6 ივლისს ამავე სტადიონზე და



ჩემპიონატის გახსნის მატჩი 13 ივნისს მაინის ფრანკფურტში ბრაზილიის ნაკრების მონაწილეობით.

84 მატჩში...

მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის 9 შესარჩევ კგუფში 84 მატჩი გაიმართა. სულ გაიტანეს 246 ბურთი. საუკეთესო სწრაფები არიან: ბონევი (ბულგარეთი), კრუიფი (ჰოლანდია), რივა (იტალია) და შტრაინის (გერ). მათ 7-7 ბურთი გაიტანეს.

მატჩებს დაესწრო 3 მილიონზე მეტი მაყურებელი, რაც საშუალოდ ყოველ შეხვედრაში 36 ათას კაცს შეადგენს.

მანფრინი პირველია

როდ-შანნიტოს სპორტული ჟურნალისტები ყოველწლიურად ირჩევენ ქალაქის № 1 ფეხბურთელს. ამ კონკურსმა შარშანაქ დიდი ინტერესი გამოიწვია. საკმაოდ მოულოდნელად, ქალაქის № 1 ფეხბურთელად არჩეულ იქნა მოთამაშე, რომელიც აქამდე არასოდეს შეუყვანიათ ერთგულ ნაკრებში. ესაა „ფლუმინენსის“ ცენტრალური თავდასხმელი ანტონიო მანფრინი, რომელიც ბევრ მიმომხილველს ტისტოს შემცველად მიაჩნია.